ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი №15

2020 წლის 4 სექტემბერი,12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

**სხდომის თავმჯდომარე:** საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.
**სხდომას ესწრებოდნენ:**
საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).
მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი - თამარ დარბაიძე.
მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ჯონდო კობერიძე.

-1-

*მოისმინეს:*
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს:ჯ. კობერიძე/

***კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:***
მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ფონაში მდებარე - 331323.00 კვ.მ (ს/კ 54.11.07.128), 43 357 კვ.მ (ს.კ. 54.11.06.277) და სოფელ ხეჩილში მდებარე 38 553 კვ.მ. (ს.კ. 54.11.09.119) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით, იჯარით გადასცეს რომან მახარაძეს (პირ:N61010000494), ალი სოინოვს (პირ:N25001008670) და თეიმურაზ კობახიძეს (პირ:N25001012651) სოფელ ფონის მოსახლეობის მიერ, საძოვრად გამოყენების პირობით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -2000 (ორი ათასი) ლარი.

/განკარგულება №33-ი თან ერთვის/

-2-

*მოისმინეს:*
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ჯ. კობერიძე/

***კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი -0), გადაწყვიტეს:***
მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ხეჩილში მდებარე - 151 833.00 კვ.მ (ს/კ 54.11.09.108) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით, იჯარით გადასცეს კამანდარ ზაირამოვს (პირ:N25001001901), მალხაზი მაკიევს (პირ:N25001008742), ორუჯ ასოინოვის (პირ:N25001025938), მახმედ ისაევს (პირ:N25001009844) და სურათ მირზაევს (პირ:N25001048381) სოფელ ხეჩილის მოსახლეობის მიერ, საძოვრად გამოყენების პირობით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -740 (შვიდას ორმოცი) ლარი.

/განკარგულება №32-ი თან ერთვის/

-3-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ჯ. კობერიძე/

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:*

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - სოფ. ვარდისუბანში მდებარე 50 604 ჰა (ს/კ 54.07.51.055) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, 2029 წლის 31 ივლისის ჩათვლით, იჯარით გადასცეს ივანე ბეჟაშვილს (პ.ნ.25001015435), ალექსანდრე კიკილაშვილსა (პ.ნ. 25001025577) და გიორგი წეველიძეს(პ.ნ25001049006) სოფელ სვიდების მოსახლეობის მიერ, საძოვრად გამოყენების პირობით. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 1440.00 ლარი.

/განკარგულება №31-ი თან ერთვის/

-4-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ჯ. კობერიძე/

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:*

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე, ორსართულიან შენობაში (ყოფილი N2 საშუალო სკოლა), პირველ სართულზე არსებული 8,88 კვ.მ ფართი/ს.კ.54.01.56.022/ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადასცეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

/განკარგულება №-30-ი თან ერთვის/

-5-

*მოისმინეს:*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა, დანართის შესაბამისად.

/განკაარგულება №-35-ი თან ერთვის/

-6-

*მოისმინეს:*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:*

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე -სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებტან არანაკლებ ერთი მეტრის სიახლოვისა.

/განკარგილება №-28-ი თან ერთვის/

-7-

*მოისმინეს:*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ს. ღონღაძე/

*კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:*

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №-34-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე კარლო ჯამბურია